პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 მაისი, შაბათი, 1989 წ.
№ 100 (10 019) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 მაისს, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

ყრილობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია მ. ს. გორბაჩოვი.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.



საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე წყალბურთში თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი ტელევიზიით თვალყურს ადევნებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მსვლელობას.



## დემოკრატიული საქართველოს დროშა მყინვარწვერზე

ყაზბეგის რაიონში, კავკასიონის ერთ-ერთ ულამაზეს და უმაღლეს მწვერვალ კავკასიონზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა აფრიალდა...

შარშან ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად იყვნენ ავსტრიის მთამსვლელები. შემდეგ საქართველოს დელეგაცია ეწვია მათ საპასუხო ვიზიტით. და აი, ავსტრიელების ჯგუფი, თხუთმეტი კაცის შემადგენლობით კვლავ ჩამოვიდნენ ჩვენს რესპუბლიკაში. ისინი თბილისელ, ქუთაისელ და ყაზბეგელ მთამსვლელებთან ერთად მყინვარწვერზე ავიდნენ. ჩვენმა მთამსვლელებმა მწვერვალზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ააფრიალეს და ასე ლამაზად აღნიშნეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.

**ს უ რ ა თ ზ ე: დემოკრატიული საქართველოს დროშა მყინვარწვერზე ფრიალებს.**



**26 მაისი.** ეს თარიღი, რომელიც ოქროს ასოებით შევიდა ქართველი ერის ისტორიაში, დიდხანს იყო მივიწყებული. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე გუშინ საზეიმოდ აღნიშნა ჩვენმა ხალხმა. სურათი, რომელსაც აქვე გთავაზობთ, გუშინ გადაიღო „ლელოს" ფოტორეპორტიორმა გამარჯვების პარკში, იმ ტერიტორიაზე, სადაც 70 წლის წინათ, 1919 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი აღინიშნა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

თბილისი 1989

## განახლებული გუნდებით

**ამერიკელ** წყალბურთელებს წინათ, დიდი ხნის წინათ, თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ. ისინი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები იყვნენ. მერე მათი მიღწევები თანდათან გაუფერულდა. 1972 წლიდან ამერიკაში წყალბურთი აღორძინების გზას დაადგა. მაშინ ამერიკელებმა ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 1984 წლის ოლიმპიადაზე „ბრინჯაო" „ვერცხლით" შეცვალეს. სეულში ამერიკელებმა კვლავ მეორე ადგილი დაიკავეს.

თბილისში აშშ-ის ნაკრები, სეულის ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით, სანახევროდ გადახალისებული შემადგენლობით ჩამოვიდა.

საქართველოს ნაკრებიც (იგივე თბილისის „დინამო"), ამ ტურნირში სანახევროდ შეცვლილი შემადგენლობით გამოდის.

ერთი სიტყვით, როგორც აშშ-ის, ისე საქართველოს ნაკრები გუნ-

იხ. მე-4 გვ.

სახ. სახ. ბიბლიოთეკა



ამერიკელთა ყველაზე სწრაფი წყალბურთელი მ. ბიონდი.

## ნახევარი ქულა დააკლდა

**მოსკოვში**, „იზმაილოვოს" ტურისტული კომპლექსის კინო-საკონცერტო დარბაზში დამთავრდა „დიდი მარათონი" — მოჭადრაკე ვაჟთა უაღრესად პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა დიდოსტატმა სერგეი დოლმატოვმა, 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და პირველ პრიზს დაეუფლა. 6,5-6,5 ქულით II-VII ადგილები გაიყვეს ნ. დე ფირმიანმა (აშშ), ე. ვლადიმიროვმა, ვ. გავრიკოვმა, გ. ტიმოშენკომ, ვ. აკოფიანმა და ა. ხალიფმანმა. 6-6 ქულა სამ მოჭადრაკეს დაუგროვდა — ე. პიგუსოვს, ა. ვიჟმანავინსა და ა. ჩერნინს. საუკეთესო კოეფიციენტის გამო VIII, „გამსვლელი" ადგილი ე. პიგუსოვს ხვდა. 5,5 ქულა ჩვიდმეტმა მოჭადრაკემ მოაგროვა, მათ შორის არიან ქართველი დიდოსტატები ელიზბარ უბილავა და ზურაბ აზმაიფარაშვილი. სამწუხაროდ, ე. უბილავას ნახევარი ქულა დააკლდა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. საქმე ისაა, რომ თუ ელიზბარი 6 ქულას მოაგროვებდა, საუკეთესო კოეფიციენტის წყალობით VIII ადგილს დაეუფლებოდა. თბილისელმა დიდოსტატებმა გენადი ზაიჩიკმა და ქეთევან არახამიამ შესაბამისად 4,5 და 3,5 ქულა მოაგროვეს, სოხუმელმა ოსტატმა მიხეილ იაილიანმა კი 3 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. სამწუხაროდ, ამ სამმა მოჭადრაკემ ვერც ფულადი ჯილდო მიიღო, თუმცა რიგ შეხვედრებში ქეთევან არახამიას კარგმა თამაშმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა და ტურნირის დახურვაზე ერთ-ერთი სპეციალური პრიზი გადაეცა.

გთავაზობთ საქართველოს მოჭადრაკეების დასკვნითი ტურების ტექნიკურ შედეგებს: **VII ტური:** სეკელი (უნგრეთი)-ზაიჩიკი — 0,5:0,5; **VIII ტური:** აზმაიფარაშვილი-ოლაფსონი (ისლანდია) — 1:0, ბარეევი-უბილავა — 0,5:0,5, ზაიჩიკი-მარკცეიტლინი — 0,5:0,5, იურტაევი-არახამია — 1:0, კლარიჩი (იუგოსლავია)-იაილიანი — 0,5:0,5 **IX ტური:** უბილავა-რაზუვაევი — 0,5:0,5, აზმაიფარაშვილი-პიგუსოვი — 0,5:0,5, არახამია-ზაიჩიკი — 0:1, ბაგიროვი-იაილიანი — 1:0.

**დავით ჭელიძე,**
**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.**

## „გურია" თავს ხრის...

**ლანჩხუთის** „გურიის" ფეხბურთელთა გუნდი, ისევე როგორც მთელი საქართველო, თავს ხრის თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა წინაშე. დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის მემორიალის ასაგებად შესაბამის ფონდში ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებმა შეიტანეს 1500 მანეთი.

**„ლელოს" კორ.**



**25 მაისს** თბილისში, ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში მეოთხედფინალური შეხვედრა მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარისა და კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის გუნდებს შორის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე, პირველსავე წყვილს მსაჯებმა პასიურობისთვის წაგება ჩაუთვალეს — საწყენია, როცა ახალგაზრდა სპორტსმენები ფიცხელ ბრძოლას გაურბიან. იმ დღეს მსაჯებმა კიდევ ორ წყვილს გამოუტანეს ასეთი „განაჩენი".

პირველი გამარჯვება მოიპოვა მცხეთელმა ზ. ციფურაშვილმა, რომელმაც აქტიურად ჩაატარა შეხვედრა და ქულებით აჯობა კასპელ თ. ქამხაძეს. უფრო დაძაბული გამოდგა ბ. ერაშვილის (კასპი) და ა. ჩოხელის (მცხეთა) შეხვედრა. ერაშვილმა ჯერ ორი ქულა აართვა მეტოქეს, ბოლოს კი წმინდა გამარჯვება მოიპოვა. 17 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა კონკურსში მცხეთელებმა 70 კგ-ზე მძიმე მონაწილე არ გამოიყვანეს და წაგება ჩაეთვალათ... საბოლოოდ ანგარიშით 4-2 გაიმარჯვეს ზემო ხანდაკელებმა და ნახევარფინალში გავიდნენ.

ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება დღეს. მეტოქე წყვილებია: პატარძეული (საგარეჯო) — ქ. გორი; ქანდა (გორის რაიონი) — ზემო ხანდაკი (კასპის რაიონი). დასაწყისი 12 საათსა და 30 წუთზე.

საქართველოს პირველობა

...რთი დილორსომ გა-

მაროკოელმა ფეხბურ-
ქალაქში ამხანაგური
ეს ალჟირის გუნდ-
რჯვეს ანგარიშით 1:0.
ა ნადირმა.

რეპლიკა

## დეპეშა წერილივით მოდის

**სსრ კავშირის** თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩის შედეგით გახარებულმა ბათუმელმა გულშემატკივრებმა ჯღარკავამ, თურმანიძემ, გაგუამ, კოჩალიძემ და სხვებმა „ლელოს" რედაქციაში გამოგზავნეს დეპეშა, რომლითაც მადლობას უხდიდნენ ჩვენს დინამოელებს თავდადებული თამაშისთვის და უსურვებდნენ შემდგომ წარმატებებს. ცხადია, რედაქცია ამ დეპეშის ტექსტს გაზეთში გამოაქვეყნებდა, მაგრამ... გულშემატკივრების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს კავშირგაბმულობის მუშაკებმა. საკვირველია, ბათუმში 19 მაისს ჩაბარებული დეპეშის ტექსტი თბილისში გადმოუციათ 20 (?!) მაისს. თბილისის მე-8 საფოსტო განყოფილების მუშაკებმა კი, სადაც დეპეშა მიიღეს, თავის მხრივ, არ იჩქარეს და იგი რედაქციაში მოიტანეს არა იმავე დღეს, 20 მაისს, არამედ მესამე დღეს — 22(?!) მაისს, როცა თბილისის „დინამოს" თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი უკვე ჩატარებული ჰქონდა „დნეპრთან".

რატომ დაგვიანდა დეპეშის ადრესატამდე მიტანა? პასუხს ამ კითხვაზე ბათუმის და თბილისის კავშირგაბმულობის ხელმძღვანელი მუშაკებისგან ველით.

ცნობისთვის: „ლელოს" რედაქცია შაბათსაც მუშაობს და გაზეთზე სამუშაო ყოველი დღე მთავრდება 23 საათზე. ვფიქრობთ, თბილისის მე-8 საფოსტო განყოფილებისათვის ეს კარგად უნდა იყოს ცნობილი. ისინი ხომ თითქმის ყველა რედაქციას ემსახურებიან.

სხვათა შორის, პირველი შემთხვევა როდია, როცა „ლელოში" დეპეშები დაგვიანებით მოდის.

როდის ისწავლიან კავშირგაბმულობის მუშაკები ადამიანების პატივისცემას?

ნოზი

| | | |
|---|---|---|
| 10 | 70 | 20 |
| 80 | 10 | 10 |
| 80 | 10 | 10 |
| 26 | 70 | 10 |
| 70 | 20 | 10 |
| 40 | 40 | 20 |
| 80 | 10 | 10 |
| 50 | 40 | 10 |
| 50 | 40 | 10 |
| 30 | 60 | 10 |
| 10 | 50 | 40 |
| 10 | 70 | 20 |
| 80 | 20 | 20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიციული მატჩის მეტამორფოზა

**ამიერკავკასიის** რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩი ტრადიციულ შეჯიბრებათა რიცხვს განეკუთვნება. დრომ თავისი კვალი დაამჩნია ამ გუნდების შეხვედრების პერიპეტიებს. ადრე გუნდურ პირველობაში გამარჯვებას მეტი სიხარული მოჰქონდა, ახლა კი, როცა ოფიციალური კომპლექსური შეჯიბრებები (საკავშირო თამაშები) სპორტსმენებსა და მწვრთნელებს უფრო და უფრო მეტ ენერგიასართმევს და მოთხოვნებიც თანდათან გამკაცრდა, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მძლეოსანთა შეხვედრებმა სიმძაფრე მოაკლდა და გამარჯვება უბრალოდ სასიამოვნო ფაქტად აღიქმება. ისე კი, მატჩში ძირითადად იმარჯვებენ მოლდავეთის ან საქართველოს სპორტსმენები, უფრო იმისდა მიხედვით, სად ტარდება შეჯიბრება. საერთოდ, მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გუნდმა კი არა, ცალკეულმა სპორტსმენებმა აჩვენონ მაღალი შედეგები, რათა მათი იმედი ჰქონდეთ შემდგომ, სხვა უფრო მნიშვნელოვან ტურნირებში.

თუ ჩვენც ამ თვალსაზრისით განვიხილავთ წლევანდელ მატჩს, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამთავრდა მოლდავეთის ქალაქ ტირასპოლში, თვალში მოგვხვდება საქართველოს რამდენიმე მძლეოსნის კარგი შედეგი. ეს პირველ რიგში ითქმის მარტყოფელ უროს მტყორცნელ **იოსებ შავერდაშვილზე** (მწვრთნელი ომარ ოდიშვილი), რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა საკუთარი მიღწევა და კვლავ **დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი ახალგაზრდებს შორის — 75,80 მ,** რამაც მას გამარჯვება მოუტანა. **ეს ნიჭიერი ჭაბუკი სწრაფად უახლოვდება დიდოსტატურ ზღვარს — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს და ჩვენს მთავარ იმედად ითვლება IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშების წინ.** აქვე ვიტყვით, რომ იმავე სახეობაში მეორე ადგილი დაიკავა ო. ოდიშვილის კიდევ ერთმა მოწაფემ ავთანდილ ტალიკიშვილმა — 65,22 მ.

სულ მატჩში ჩვენმა სპორტსმენებმა ათ სახეობაში გაიმარჯვეს, ამასთან ტალიკიშვილთან ერთად იგორ ივანოვმაც (მწვრთნელი ანატოლი ანდრეევი) და სერგეი დევიატკინმაც (მიხეილ მუდრიკი) სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს, პირველმა 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,9, დევიატკინმა ბადროს ტყორცნაში — 58,70 მ.

პირადი მიღწევებით გაიმარჯვეს ნინო ონაშვილმა (მწვრთნელი ლამარა ტუღუში) და მარინე გოგუაშვილმა (ილო გიგაური), შესაბამისად ბადროს (55 მ) და შუბის (53,44 მ) ტყორცნაში. პირველი ადგილები დაიკავეს აგრეთვე დავით ჯარაშნელმა და ელვირა ურუსოვამ ბირთვის კვრაში, შესაბამისად აჩვენეს 16,72 მ. და 16,30 მ. ორივე სპორტსმენს გივი ჩადუნელი ავარჯიშებს. სხვათა შორის, ბირთვის კვრაში მეორე ადგილებზეც ჩვენი გუნდის წევრები ბესიკ ლომინაძე (16,50 მ.) და გურანდა თედორაძე არიან (14,92 მ). პირველი ადგილი დაიკავეს აგრეთვე ჩვენმა ვაჟებმა 4X400 მ. ამანათრბენში.



იოსებ შავერდაშვილი.

ყურადღებას იპყრობს სპრინტერების თამარ შანიძისა (ავთანდილ ბერიძე) და აიდა ტოროსიანის (ევგენი საპრონოვი) გამოსვლა, თუმცა მათ მეორე ადგილები დაიკავეს, შედეგებს ვერ დავემდურებით. შანიძემ 100 მეტრზე 11,8 აჩვენა, ტოროსიანი კი 400 მეტრზე გამოდიოდა და ერთი წრე სტადიონის ირგვლივ 55,2 დაფარა. წარმატებად უნდა ჩაითვალოს ნორჩი მძლეოსნების დიანა ხუბაშვილისა (100 მ. — 12,0 წამი) და მიხეილ მესხის (ბადროს ტყორცნა — 50,82 მ.) მიღწევებიც.

1500 მეტრზე თბილისელი ოლეგ ხოხლოვი უკონკურსოდ გამოდიოდა, მაგრამ მეორე მივიდა ფინიშთან (3.53,0) და აჯობა თავის თანაგუნდელებს — ზიგმუნდ ზილბერშტეინსა და ზურაბ ხიტირს, თუმცა თავის მხრივ, ამ სპორტსმენებმაც გააუმჯობესეს წლევანდელი შედეგები — 3.54,0 და 3.57,2 აჩვენეს შესაბამისად. ოლეგ სტრიჟაკოვმა ძალზე იოლად მოიგო 5000 მეტრზე რბენა — 14.27,7.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები.

ჩვენი მძლეოსნების ხელმძღვანელობის აზრით აქ მთავარი იყო, რომ IV ახალგაზრდული თამაშებისათვის გამოიკვეთა ნაკრების ბირთვი 10-12 სპორტსმენის შემადგენლობით, დანარჩენები მათ თანდათანობით დაემატებიან.

საქართველოს ნაკრებს უახლოესი შეჯიბრება თბილისში, „დინამოს" სტადიონზე ელის, სადაც გაიმართება რესპუბლიკის ჩემპიონატი. გადაწყვეტილია, რომ იგი ჩატარდეს ახლებურად და ისეთ დონეზე, როგორც საერთოდ ექადრება საქართველოს ჩემპიონატს. მანამდე კი 10 სპორტსმენი სოჭში იასპარეზებს იმ მეტად მნიშვნელოვან საკავშირო ტურნირში, რომელიც გაზეთ „პრავდის" პრიზზე ტარდება.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ფარიკაობაში

# უკეთესი შედეგის მოლოდინში

**მუშკეტერთა** საკავშირო ჩემპიონატი ორ ეტაპად ჩატარდა: ჯერ ტალინში ხმლითა და დაშნით მოფარიკავეებს შორის გამოვლინდნენ ჩემპიონები, რამდენიმე დღის შემდეგ კი, უკვე მინსკში, რაპირისტთა შეჯიბრებები მოეწყო. ამ ოთხსაფეხურიან ტურნირში საქართველოს გუნდს რაიმე განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია. თუმცა, მან ოთხი კი არა, ფარიკაობის სამ დისციპლინაში მიიღო მონაწილეობა: რაპირისტი გოგოები მინსკში არ წაუყვანიათ, მათი არავითარი იმედი არ ჰქონდათ.

ყველაზე უკეთ ჩვენი გუნდიდან ხმლით მოფარიკავეებმა იასპარეზეს, რომლებიც მეხუთე ადგილზე გავიდნენ — ფინალში, რვა საუკეთესო კოლექტივს შორის გასულებს, წინ მოსკოვის უძლიერესი გუნდი გადაეღობათ. ჩვენმა ხუთეულმა (მერაბ ბაზაძე, ირაკლი გვარამაძე, ზაზა მჭედლიძე, აკაკი და კახა მახარაძეები) მარცხიანად დაიწყო ბრძოლა და ზედიზედ 6 (!) შერკინება წააგო — 0:6. შემდეგ ჩვენმა სპორტსმენებმა გამოიღეს ხელი, მაგრამ დაკარგულის ანაზღაურება ალბათ აღარ შეიძლებოდა. ანგარიშით 9:6 გაიმარჯვეს მოსკოველებმა, რომლებიც საბოლოოდ ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

**მეხუთე ადგილი, კიდევ ვიმეორებთ, ჩვენი ხმლით მოფარიკავეებისთვის წარმატებად ვერ ჩაითვლება.** იქნებ ვაჭარბებთ, მაგრამ გვგონია, რომ ჩვენს გუნდს, რომელიც ძირითადად სტაბილური შემადგენლობით ასპარეზობს ბოლო წლებში, გაცილებით მეტი შეუძლია. ქვეყნის აღიარებული ლიდერის როლს არ ვგულისხმობთ, ეს გაცილებით ძნელი მისაღწევია, მაგრამ დიდი, ალმაფრენასთან წილნაყარი მონდომებით, როგორც IX საკავშირო სპარტაკიადაზე მოხდა, მათ მართლაც შეუძლიათ სასახელო გამარჯვების მოპოვება.

მაშინ, 1986 წელს, ჩვენს გუნდს ჩემპიონობა არ მოუგია, მეორე ადგილზე გავიდა. თავისი როლი ითამაშა არაობიექტურმა მსაჯობამ, თუმცა ის ფინალური შეხვედრა ლენინგრადის გუნდთან პირდაპირ საისტორიო გახლდათ.

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატზე პირადი პირველობის ფინალში მოხვდა მერაბ ბაზაძე, რომელიც საბოლოოდ VII ადგილზე გავიდა. ისიც, ისევე როგორც მთელი გუნდი, სტაბილურად გამოდის, ოღონდ მუდამ სულ ცოტა დააკლდება ხოლმე მედლის მოპოვებამდე. ოსტატობა მას საკმარისი აქვს. მაშ რა ხდება — მიზეზი იქნებ ფსიქოლოგიური ან სხვა სუბიექტური ფაქტორია?.. აკაკი მახარაძე მეთერთმეტე ადგილზე გავიდა, ირაკლი გვარამაძე — მეთექვსმეტეზე.

ტალინში დაშნით მოფარიკავეებმა წინა ჩემპიონატთან შედარებით 7 საფეხურით წინ წაიწიეს, ოღონდ მათი საბოლოო IX ადგილი ჯერ არ უნდა იყოს თავმოწონების საბაბი. თუმცა, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის გოდერძი მახარაძის აზრით, გარკვეული პროგრესი დაშნით ფარიკაობაში მაინც შეინიშნება.

ისიც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სპორტსმენებს ერთგვარად არ გაუმართლა: პირველსავე ბრძოლაში მოსკოვის გუნდს შეხვდნენ



და წააგეს — 6:9. ეს ანგარიში ასეთ ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში საპატიოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენი მოფარიკავეებისთვის. ამის შემდეგ გუნდს მხოლოდ მეცხრე ადგილისთვის ბრძოლის უფლება რჩება და ეს შანსი საქართველოს ხუთეულმა კარგად გამოიყენა — დაამარცხა ზედიზედ სამი ნაკრები (მათ შორის ბელორუსიისა).

ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, რაპირისტთა შეჯიბრებაში, ჩვენი ვაჟები სუსტად გამოვიდნენ. გუნდმა მინსკში, ისევე როგორც შარშანდელ ასპარეზობაში, XII ადგილი დაიკავა. პირად პირველობაში ფინალში (VII ადგილი) გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური, რომლის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხიც ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ახალგაზრდა სპორტსმენებს ოლეგ ჩერნიშოვსა და გიორგი კვარაცხელიას შესაბამისად ოცდამერვე-ოცდამეთორმეტე ადგილები ხვდათ.

ასეთია საქართველოს მოფარიკავეთა მთლიანი ნაკრების შედეგები საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში. მალე დაიწყება მეოთხე საკავშირო ახალგაზრდული თამაშები. ჩვენი მწვრთნელები ამ შეჯიბრებას უფრო ოპტიმისტურად უყურებენ. მათი აზრით, საპრიზო ადგილისთვის უნდა იბრძოლონ საქართველოს ხმლით მოფარიკავეებმა და რაპირისტმა ჭაბუკებმა. მხოლოდ პირად პირველობაში პირველ სამეულში მოხვედრის შანსი აქვთ კახა მახარაძეს, არჩილ ლორთქიფანიძეს და ოლეგ ჩერნიშოვს.

# ლესელიძის მემორიალზე

**საბჭოთა** კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნურ ტყორცნებში სეზონის ერთ-ერთი პირველი ასპარეზობაა, რომელიც ტრადიციულად იმართება დაბა ლესელიძეში. მაგრამ ამჯერად ამ შეჯიბრებას თავისებური კონკურენცია გაუწია „რუსეთის თასის" გათამაშებამ, რომელიც თითქმის პარალელურად მიმდინარეობდა სოჭში.

ლესელიძეში საასპარეზოდ 27 სპორტსმენი გამოვიდა, აქედან 12 ქალი. უროსმტყორცნელთაგან ასპარეზობაში მონაწილეობა არავის მიუღია და ამის მიზეზ...

...გაყვანისათვის — ე. სალია (...
მე — „სქური").

„სულორი" (ვანი) — „სი... (ბოლნისი) 2:2. მსაჯი ვ. ხეჩ... (თბილისი). გოლები: ღვალი... ლი, ფოფხაძე („სულორი"), ... რევი-2 („მადნეული").

„დინამო" (ზუგდიდი) — ... რტაკი" (ცხინვალი) 3:0. მს... კახიანი (სამტრედია). გო... მაქაცარია-2, კონჯარია („დი...

„ამირანი" (ოჩამჩირე) — ... ბოვნელა" (თერჯოლა) 6:3. ... თ. ლაცაბიძე (თბილისი). გო... ლურწკაია, ვართანოვი, კაკ... დარასელია, ეთერია-2 („ამი... ზვარეშია, ფანჩულიძე-2 („ს... ჯულა").

„არმაზი" (მცხეთა) — „ბ... ტონი" (აბმეტა) 1:0. მსაჯი ... ლიაშვილი (თბილისი). გოლი... წილულაშვილი („არმაზი").

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 3800... თბილისი, ლენინის ქ. 14, ...**
**დეპეშებისთვის — თბილ...**



### სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბში • უმაღლესი ლიგა

IX ტური მარცხიანი გამოდგა საქართველოს გუნდებისათვის. ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ქუთაისის „აია" მოსკოვში ეთამაშა იქაურ „სლავას" და წლევანდელ ჩემპიონატში პირველად დამარცხდა — 9:12. სტუმრად გამართულ შეხვედრებში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია თბილისის „ელმავალმაც". რკინიგზელები ამჯერად დამარცხდნენ მოსკოვის „სპარტაკთან" (9:13), გუნდთან, რომელსაც მანამდე გამართული რვავე მატჩი წაგებული ჰქონდა.

სხვა მატჩების შედეგები: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ელექტრომაში" (ტირასპოლი) 35:7, „ფილი" (მოსკოვი) — „ავიატორი" (კიევი) 10:10, ეტს (კრასნოიარსკი) — „ზვეზდა" (ტაშკენტი) 26:9, სსა (მონინო) — ასკ (ალმა-ათა) 19:12.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ. | შ. | ს. | მ. | ფ. | წ. | |
| სსა | 8 | 5 | 3 | 7 | 0 | 1 | 14 |
| ეტს | 9 | 4 | 5 | 6 | 0 | 3 | 12 |
| „ლოკომოტივი" | 9 | 4 | 5 | 6 | 0 | 3 | 12 |
| „აია" | 7 | 4 | 3 | 5 | 1 | 1 | 11 |
| „ფილი" | 8 | 3 | 5 | 4 | 2 | 2 | 10 |
| „ავიატორი" | 9 | 5 | 4 | 4 | 1 | 4 | 9 |
| „ელექტრ." | 9 | 7 | 2 | 4 | 0 | 5 | 8 |
| „სლავა" | 9 | 3 | 6 | 4 | 0 | 5 | 8 |
| ასკ | 8 | 4 | 4 | 3 | 0 | 5 | 6 |
| „ელმავ." | 8 | 2 | 6 | 2 | 1 | 5 | 5 |
| „ზვეზდა" | 9 | 7 | 2 | 2 | 1 | 6 | 5 |
| „სპარტაკი" | 9 | 3 | 6 | 1 | 0 | 8 | 2 |

**საერთაშორისო რაგბი**

საფრანგეთის ქალაქ ვალანსში გაიმართა სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) 1987-89 წლების ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი. ფრანგმა მორაგბეებმა უმასპინძლეს საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელსაც თავის ისტორიაში ფირას ჩემპიონობის პირველად მოსაპოვებლად თამაშის ფრედ დამთავრება აძლევდა ხელს, მაგრამ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 18:16 და ჩემპიონები ისინი გახდნენ. საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზე დარჩა. ფირას ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა რუმინეთის გუნდმა, რომელიც ახლახან ბუქარესტში ეთამაშა ინგლისის ეროვნულ ნაკრებს და გამანადგურებელი ანგარიშით — 3:58 (3:24) დამარცხდა.

### საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში

# დონეცკამდე ცოტა დრო რჩება

**თვენახევარი** დარჩა ჭაბუკთა საკავშირო თამაშების ფინალურ ასპარეზობებამდე (ტანმოვარჯიშეთა ტურნირი დონეცკში გაიმართება), რომლისადმი მზადება ახლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სწორედ ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ, ასე ვთქვათ, საბრძოლო დათვალიერებას წარმოადგენდა ბათუმში ახლახან დამთავრებული საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ვაჟთა ოთხი და ქალთა სამი გუნდი გამოდიოდა.

აქვე ვიტყვით, რომ შეჯიბრებაში ვერ მიიღეს მონაწილეობა უძლიერესმა ოსტატებმა — ვლადიმერ გოგოლაძემ, ლევან სისაურმა და სოფიკო მანაგაძემ (ისინი საკავშირო შეკრებაზე არიან მოსკოვში), ემზარ ფუნთუშაშვილმა (ავადმყოფობის გამო), აგრეთვე ვალერი ოგანეზოვმა, ილია ვაშაკიძემ და ნიკოლოზ ბარბაქაძემ, რომლებიც სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე გამოდიოდნენ ტალინში.

— ჩვენ კიდევ ერთხელ შევამოწმეთ რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატები, — გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის ტანვარჯიშის უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ზიგფრიდ გვეტაძემ. — კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ახალი სავალდებულო პროგრამა, რომელიც წლის დამდეგიდან შემოვიდა, ყველა მოვარჯიშემ აითვისა და ახლა საჭიროა მუშაობა მის დახვეწასა და სტაბილურობაზე.

**შედეგები**

**ოსტატთა პროგრამა. ქალები:** 1. მედეა ქუთათელაძე (პროფკავშირები) — 36,25 ქულა; 2. ლალი ქორჩიშვილი („დინამო") — 35,3; 3. ოქსანა სიკუნოვა („დინამო") — 34,8; **ვაჟები:** 1. ნუგზარ ლვინიაშვილი (პროფკავშირები) — 53,25; 2. ამირან ბერიანიძე (ასკ) — 52,4; 3. ხვიჩა გაბიევი („დინამო") — 50,85.

**ოსტატობის კანდიდატთა პროგრამა. ქალები:** 1. თეა თოდაძე („დინამო") — 71,85; 2. ელა ნიკაგოსოვა („დინამო"), — 68,1; 3. ირმა დევაძე („დინამო") — 58,8; **ვაჟები:** 1. გიორგი კოსტანიანი („დინამო") — 105,2; 2. გენადი სურმანიძე („დინამო") — 103,1; 3. დავით იორდანიშვილი („დინამო") — 96,9;

**პირველთანრიგოსნები. ქალები:** 1. ეთერ დიასამიძე („დინამო") — 68,9 (ამ თანრიგში მხოლოდ ერთი მონაწილე იყო). **ვაჟები:** 1. ალექსანდრე თვაური (ასკ) — 101,25; 2. არტაკ ხაჩატურიანი (პროფკავშირები) — 93,35; 3. კახა ლამბარაშვილი (ასკ) — 93,1.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:1 (0:1).**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 მაისი.**

**„დინამო“: ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი.**

**„სპარტაკი“: ჩერჩესოვი, ბაზულევი, კულკოვი, სუსლოპაროვი (კაპუსტინი, 62), ბუბნოვი (შალიმოვი, 46), ბოკი, კუზნეცოვი, ივანოვი, შმაროვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.**

**მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).**

**გააფრთხილეს კულკოვი, სუსლოპაროვი.**

**დინამოელებმა** აქტიურად, ენერგიულად ითამაშეს, მატჩის უმეტეს ეპიზოდებში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში კარგ პოზიციაში მყოფი მოთამაშეები ვერ ახერხებდნენ ხელსაყრელი დარტყმის ზუსტად შესრულებას. ასეთი შესაძლებლობები მიეცათ ცაავას, გოგიჩაიშვილს, ცვეიბას, მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა. თითქმის მთელი მეორე ტაიმი დინამოელებმა მეტოქის ნახევარზე გაატარეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თბილისელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და მხოლოდ უიღბლობის გამოისობით წააგეს თამაში. სპარტაკელებიც ხშირად ქმნიდნენ საგოლე მომენტებს მასპინძელთა კართან და ერთ-ერთი მათგანი, კუთხურ მოწოდებათა სერიის შემდეგ, 33-ე წუთზე ზუსტი შორეული დარტყმით დაამთავრა კულკოვმა — 1:0.



განვლილ მატჩში საუკეთესო მოთამაშის პრიზი დინამოელთაგან გადაეცა ზაურ ხაპოვს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მაგრამ სიმართლე მოითხოვს და უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მატჩში თბილისის „დინამო“ ის არ იყო, რაც „სპარტაკთან“ წინა შეხვედრაში და არც „სპარტაკი“ გამოიყურებოდა ისე, როგორც თასის მეოთხედფინალში. სპარტაკელებმა, ჩვენი აზრით, ყოველმხრივ, წვრილმანებამდე გაიაზრეს მეორე მატჩის შესაძლო ნიუანსები და მინიმალური შეცდომებით ჩაატარეს თამაში.

„სპარტაკი“ — „სპარტაკია“! ლიდერთან დამარცხებამ, რაც არ უნდა საწყენი და დასანანი იყოს ეს, ახლანდელი საბრძოლო კალაპოტიდან არ უნდა ამოაგდოს ჩვენი გუნდი. დინამოელები ამჟამად ურიგოდ არ თამაშობენ, მოთამაშეები შევიდნენ სპორტულ ფორმაში, ცალკეულმა წარუმატებლობებმა გუნდი კიდევ უფრო მეტად უნდა განაწყოს გამარჯვებისთვის, სტუმრად თუ საკუთარ მინდორზე მან მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს. გვწამს, რომ დინამოელებს შესწევთ საამისო ძალები. საჭიროა მეტი, კონკრეტული ყურადღება უშუალოდ თამაშის მსვლელობისას, საჭიროა მეტოქის კართან შექმნილი თითოეული საგოლე მომენტის ზუსტი რეალიზაცია, ბრძოლა, ბრძოლა, შეუპოვარი ბრძოლა!.. თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა მხრივ მხარდაჭერა არ აკლია, გუნდმაც სრულად უნდა გაამართლოს ჩვენი იმედები.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ჟალგირისი“ — „დინამო“ კ. 1:0
„ტორპედო“ — „ზენიტი“ 1:1
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მნ. 0:1
„არარატი“ — „შახტიორი“ 2:0
„პამირი“ — „დნეპრი“ 0:1.



საკავშირო ჩემპიონატში ახლა 4 ივნისამდე შესვენებაა, თბილისის დინამოელები 5 ივნისს ოდესაში შეხვდებიან „ჩერნომორეცს“. მანამდე კი, 29 მაისს სსრკ საფეხბურთო კავშირის თასზე მინსკში შეხვდებიან ადგილობრივ დინამოელებს.

31 მაისს სსრ კავშირის ნაკრები შინ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს ისლანდიის ნაკრებთან.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 27 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 11 | 8 | 3 | 0 | 20-3 | 19 |
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 6 | 3 | 2 | 17-8 | 15 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 11 | 5 | 4 | 2 | 12-7 | 14 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 11 | 5 | 4 | 2 | 14-13 | 14 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 11 | 4 | 6 | 1 | 12-7 | 14 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 12 | 6 | 1 | 5 | 15-16 | 13 |
| „არარატი“ (ერევანი) | 11 | 5 | 2 | 4 | 9-9 | 12 |
| „დინამო“ (მინსკი) | 11 | 5 | 1 | 5 | 14-13 | 11 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 10 | 4 | 2 | 4 | 13-12 | 10 |
| „დინამო“ (თბილისი) | 10 | 2 | 5 | 3 | 8-9 | 9 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 2 | 4 | 5 | 10-13 | 8 |
| „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 10 | 2 | 4 | 4 | 7-12 | 8 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 2 | 3 | 6 | 5-10 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 11 | 2 | 3 | 6 | 6-12 | 7 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 11 | 1 | 5 | 5 | 5-13 | 7 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 11 | 2 | 2 | 7 | 7-17 | 6 |

## I ლიგა

**25 მაისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XI ტურის შეხვედრები.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0 (2:0).**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 25 მაისი.**

**„ტორპედო“: ჩხეიძე, ნადირაძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, გენძეხაძე (პაპავა), მარეხაშვილი, გაბისკირია, მეგრელაძე, დარასელია, შავდათუაშვილი (პაიკიძე).**

**„ფახთაქორი“: იანოვსკი, მიკლიაევი, ბელიალოვი, კასიმოვი, დენისოვი (კოშოვი), პოსტონოვი, ბონდარენკო, პიატნიცკი, სინელობოვი (დურმანოვი), მუჰამედოვი, სელიმოვი (აბდურაიმოვი).**

**მსაჯი ვ. ტურიკოვი (ხარკოვი).**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს საკუთარ მინდორზე „ფახთაქორის“ ძლიერ გუნდთან. ტაშკენტელთა კოლექტივს, ეტყობა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდეს, ამიტომაც ლიგის ლიდერთა ჯგუფში იმყოფება, მაგრამ ამ დღეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მეტოქეს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს, მათი უპირატესობა პირველივე წუთებიდან თვალნათელი იყო.

მასპინძლებს ანგარიშის გახსნა ჯერ კიდევ მე-10 წუთზე შეეძლოთ, როცა მეგრელაძემ და დარასელიამ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და იანოვსკის ძნელი ბურთის აღება მოუხდა დარასელიასგან. მაგრამ მცირე ხანს შემდეგ „ფახთაქორის“ მცველებმა თავიანთი კარის სიახლოვეს უხეშად ითამაშეს მეგრელაძის წინააღმდეგ და დარასელიამ ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი — 1:0.

ტორპედოელებს იერიშები არ შეუნელებიათ, განვლო მცირე ხანმა და ვ. ტურიკოვმა მეორე 11-მეტრიანი დანიშნა გაბისკირიის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის. დარასელიამ ამჯერადაც ზუსტად დაარტყა — 2:0.

თამაშის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი [illegible] ქუთაისელ ფეხბურთელებს გამარჯვების [illegible] სჭირვებიათ.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით „ლელოს“ კორ.).**

ამ დღეს გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც. ლანჩხუთის „გურია“ რიგაში შეხვდა „დაუგავას“ და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბათუმის დინამოელებმა ზაპოროჟიეში წააგეს „მეტალურგთან“ — 0:4.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 3:4, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, ცსკა — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 3:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 0:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:4, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 27 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 8 | 1 | 2 | 33-9 | 17 |
| „კაირატი“ | 11 | 6 | 3 | 2 | 21-9 | 15 |
| „ნეფთჩი“ | 11 | 5 | 5 | 1 | 14-10 | 15 |
| „ნისტრუ“ | 11 | 6 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| „ფახთაქორი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 16-7 | 13 |
| „დინამო“ სტ. | 10 | 3 | 7 | 0 | 12-7 | 13 |
| „კოტაიკი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 13-4 | 12 |
| „სპარტაკი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 12-12 | 12 |
| „მეტალურგი“ | 10 | 5 | 1 | 4 | 14-11 | 11 |
| „გურია“ | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 11 |
| „დინამო“ ბ. | 11 | 4 | 3 | 4 | 7-15 | 11 |
| „ფაკელი“ | 10 | 3 | 5 | 2 | 7-5 | 11 |
| „ყუბანი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 13-21 | 10 |
| „გეოლოგი“ | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 9 |
| „ტორპედო“ | 9 | 4 | 1 | 4 | 12-14 | 9 |
| „ტავრია“ | 10 | 3 | 3 | 4 | 13-17 | 9 |
| „შინიკი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 9-17 | 9 |
| „როსტს.“ | 10 | 2 | 5 | 3 | 8-10 | 9 |
| ასკ რ. | 10 | 3 | 1 | 6 | 16-17 | 7 |
| „კუზბასი“ | 11 | 0 | 5 | 6 | 2-12 | 5 |
| ასკ „კარპატი“ | 11 | 0 | 4 | 7 | 9-21 | 4 |
| „დაუგავა“ | 11 | 0 | 3 | 8 | 5-22 | 3 |

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XI ტურის შეხვედრები: „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ხობი) 5:2, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „შევარდენი“ (თბილისი) 3:1, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „გოიაზანი“ (ყაზახი) 0:0, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „დილა“ (გორი) 3:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 3:2, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:1, ომც (თბილისი) — „ტერმისტი“ (ბაქო) 3:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 27 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ს. | 9 | 8 | 0 | 1 | 23-7 | 16 |
| „ლოკომ.“ ს. | 11 | 7 | 2 | 2 | 18-7 | 16 |
| „ტექსტილ.“ | 10 | 6 | 2 | 2 | 18-6 | 14 |
| „ხაზარი“ ს. | 10 | 6 | 2 | 2 | 18-9 | 14 |
| „დილა“ | 10 | 6 | 2 | 2 | 14-11 | 14 |
| „კოლხეთი“ ფ. | 10 | 6 | 1 | 3 | 13-7 | 13 |
| „მეტალურგი“ | 11 | 4 | 5 | 2 | 13-9 | 13 |
| „გოიაზანი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 13-12 | 12 |
| „ტორპედო“ | 10 | 5 | 1 | 4 | 14-9 | 11 |
| „ნარტი“ | 10 | 5 | 1 | 4 | 11-9 | 11 |
| „კოლხეთი“ ხ. | 10 | 3 | 4 | 3 | 15-15 | 10 |
| „ყარაბაღი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 8-12 | 9 |
| „ტერმისტი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 8-14 | 9 |
| „ქიაფაზი“ | 10 | 3 | 2 | 5 | 16-18 | 8 |
| „დინ.“ (მახ.) | 10 | 2 | 4 | 4 | 17-14 | 8 |
| „ხაზარი“ ლ. | 10 | 3 | 0 | 7 | 5-17 | 6 |
| „მერცხალი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 13-20 | 6 |
| „ზვეზდა“ | 9 | 2 | 2 | 5 | 14-22 | 6 |
| „ლოკ.“ (მ. წყ.) | 10 | 1 | 4 | 5 | 11-16 | 6 |
| „შევარდენი“ | 9 | 2 | 1 | 6 | 9-16 | 5 |
| „ატომმაში“ | 9 | 2 | 1 | 6 | 9-16 | 5 |
| ომც (თბ.) | 11 | 2 | 1 | 8 | 14-26 | 5 |

## ფეხბურთის ამბები

**ლიმა.** პერუსა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში გახსნა ბრაზილიელმა კრისტობაუმ, ხოლო საპასუხო ბურთი დელორსომ გაიტანა.

**კენიტრა.** მაროკოელმა ფეხბურთელებმა ამ ქალაქში ამხანაგური მატჩი გამართეს ალჟირის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა ნადირმა.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# „მილანი“ — ჩემპიონთა თასის მფლობელი

**ჩვენს** საფეხბურთო საზოგადოებას, როგორც იქნა, საშუალება მიეცა მატჩის უშუალო მსვლელობის ტელერეპორტაჟი ეხილა ევროპის ქვეყნების საკლუბო თასის გათამაშების ფინალიდან. 24 მაისს ბარსელონის „ნოუ კამპის“ 120-ათასიან პირთამდე გაჭედილ სტადიონზე შედგა იტალიის „მილანისა“ და რუმინეთის „სტეაუას“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი. წინა წლებში ასეთ საინტერესო შეხვედრათა ტელეგადაცემა არ „ხერხდებოდა“ იმის გამო, რომ ტელესატრანსლაციო ხარჯები დიდი იყო, მაგრამ, თურმე, შესაძლებელი ყოფილა 30 ათასი დოლარის გადახდა და მილიონობით სპორტის მოყვარულთა ინტერესის დაკმაყოფილება.

ჩემპიონთა თასის ფინალურმა მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელს საერთაშორისო სპორტულ სამყაროში. ვეება სტადიონის თითქმის ორი მესამედი იტალიელ გულშემატკივრებს ჰქონდათ დაკავებული, რუმინელთა მხარდამჭერი მასა კი სულ დაახლოებით 200 ტურისტით თუ ამოიწურებოდა. ამიტომაც „მილანი“ ფაქტიურად შინ გამოდიოდა, საკუთარი აუდიტორიის წინაშე. ისიც საინტერესოა, რომ „მილანში“ მოთამაშე ჰოლანდიელი ფეხბურთელების საქომაგოდ (გულიტი, ვან ბასტენი, რაიკარდი) სრული შემადგენლობით ჩამოვიდა ჰოლანდიის ცნობილი კლუბი „აიაქსი“, რომელმაც სულ ახლახან თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. „აიაქსის“ ფეხბურთელებმა თხოვნით მიმართეს კლუბის სპონსორს, მანაც არ დააყოვნა და მატჩზე დასასწრებად მთელი გუნდი გაამგზავრა ბარსელონაში...

ბუქარესტის „სტიაუა“ ბოლო ხანებში გაბედულად დაწინაურდა საერთაშორისო ასპარეზზე და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია, გუნდის შემადგენლობაში საკმარისად არიან მაღალი კვალიფიკაციის, ძლიერი ოსტატები, მაგრამ ამ დღეს მინდორზე არსებითად ბატონ-პატრონობდა მხოლოდ „მილანი“ და ყველაფერი მისი კარნახით მიმდინარეობდა. ეს ცხადად იგრძნობოდა თამაშის დასაწყისიდანვე, იტალიელთა მძლავრ იერიშებს „სტიაუას“ მცველებმა ვერ გაუძლეს და ინიციატივა მთლიანად მეტოქეს დაუთმეს. პირველი ბურთი მე-18 წუთზე გაიტანა გულიტმა, შემდეგ კი ვან-ბასტენმა მეორედ აიძულა მეკარე ლუნგი კარიდან გამოეტანა ბურთი, 39-ე წუთზე გულიტმა მესამე ბურთი გაიტანა და მაშინვე, როგორც კი თამაში განახლდა შესვენების შემდეგ, ვან ბასტენმა საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრის ანგარიშს — 4:0.

როგორც ხედავთ, იტალიის კლუბის გამარჯვებაში „ლომის წილი“ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს მიუძღვით.

მატჩის დამთავრების შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „მილანი“ ამ გამარჯვებისთვის 120 ათასი დოლარით დაჯილდოვდა. ეს ამ იტალიური კლუბის რიგით მესამე გამარჯვებაა ჩემპიონთა თასზე. „მილანი“ საპატიო პრიზს ფლობდა, აგრეთვე, 1963 და 1969 წლებში.

„მილანმა“ ფინალური მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: დ. გალი, ტასოტი, კოსტაკურტა (ფ. გალი), ბარეზი, მალდინი, კოლომბო, რაიკარდი, დონადონი, ანჩელოტი, გულიტი (ვირდისი), ვან ბასტენი.

ევროპის საკლუბო გათამაშებათა სამივე ფინალურ მატჩში იტალიის 3 კლუბი მონაწილეობდა. „მილანმა“ ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ხოლო „ნაპოლიმ“ — უეფა-ს თასი, რაც, უდავოდ, იტალიური ფეხბურთის დიდი წარმატებაა.

**„სპორტპროგნოზი“, 23-ე ტირაჟის პროგრამა (4-5 ივნისი)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 1. „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) | 4.VI | | 10 | 70 | 20 |
| 2. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 4.VI | | 80 | 10 | 10 |
| 3. „კაირატი“ (ალმა-ათა) — ასკ (როსტოვი) | 4.VI | | 80 | 10 | 10 |
| 4. „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) | 4.VI | | 20 | 70 | 10 |
| 5. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დაუგავა“ (რიგა) | 4.VI | | 70 | 20 | 10 |
| 6. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) | 4.VI | | 40 | 40 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 7. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) | 4.VI | | 80 | 10 | 10 |
| 8. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) | 5.VI | | 50 | 40 | 10 |
| 9. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) | 5.VI | | 50 | 40 | 10 |
| 10. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 5.VI | | 60 | 30 | 10 |
| 11. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (კიევი) | 5.VI | | 10 | 50 | 40 |
| 12. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მინსკი) | 5.VI | | 10 | 70 | 20 |
| 13. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 5.VI | | 50 | 20 | 20 |

# განახლებული გუნდებით

(დასასრული)

დები, ფაქტობრივად ახლა თავიდან ყალიბდებიან და როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის, თბილისის ტურნირი პირველი დიდი საერთაშორისო ტურნირია, სადაც ისინი ძალებს ცდიან.

**საქართველო — აშშ 5:6 (2:1, 1:1, 1:2, 1:2)**

**საქართველო: კერესელიძე, გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, ახათიანი, მაჭავარიანი, რამიშვილი; ხარებოვი, კუტივაძე, მარგიევი, ჩოლარია.**

**აშშ: დიუპლანტი, ჰერისი, ევერისტი, კემბელი, ბიონდი, კლასი,**



საქართველოსა და აშშ-ის ნაკრებთა შეხვედრის მომენტი.

**მუშუა, ლინი, ტორნტონი, კოპი, რუსოუ, ბერდსელი,, ფიშერი.**

ამ გუნდების შეხვედრაში, სწრაფი ცურვის მხრივ, უპირატესობა აშკარად ამერიკელთა მხარეს იყო. მასპინძლებმა პერიოდების დასაწყისში ბურთის ხელში ჩაგდება ერთხელაც ვერ მოახერხეს. ამ საქმის ამერიკელთა „ვიწრო სპეციალისტი", ბუნებრივია, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი და ოლიმპიური თამაშების ასევე მრავალგზის ჩემპიონი, ყოფილი მოცურავე ბიონდია. ბიონდის დუბლიორი გახლავთ ლინი, რომელიც აგრეთვე ძალზე სწრაფად ცურავს. სხვებიც, როგორც იტყვიან, მოწოდების სიმაღლეზე არიან.

მართალია, ამერიკელებმა ამ მატჩში გაიმარჯვეს, მაგრამ ცურვაში მათი უპირატესობა, სათამაშო ეპიზოდებში, დიდად არ გამოირჩეოდა. უფრო მეტიც, მესამე პერიოდში კუტივაძემ ლამის ცენტრში მშვენიერი გადაცემა მიიღო და მეკარისკენ პირისპირ დაიძრა, მას ერთდროულად ბიონდი და ფიშერი დაედევნა, მაგრამ ამ სელაპებივით მოცურავე ამერიკელებმა არათუ კუტივაძის შეჩერება, მათ შორის მანძილში სხვაობის შემცირებაც ვერ შეძლეს. თბილისელმა წყალბურთელმა ის იერიში კარის აღებით დააგვირგვინა.

საერთოდ, ამ მატჩში, შეიძლება ითქვას, კუტივაძე საუკეთესო იყო. მან ყველაზე მეტი, სამი ბურთი გაიტანა და, როგორც იტყვიან, ეს გოლები ერთმანეთზე ლამაზი იყო (მის გარდა მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ბითაძემ და რამიშვილმა, ხოლო სტუმართაგან მუშუარმა, ევერისტმა —2-2, ბიონდიმ და კლასმა).

საერთოდ, ამ გუნდების შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ, მცირე უპირატესობა, ჩვენი აზრით, მაინც საქართველოს ნაკრების მხარეს იყო. ისინი მეორე პერიოდში ორი ბურთის სხვაობითაც იგებდნენ შეხვედრას, უფრო ხშირად კი ტაბლოზე ფრეს ამნიშვნელ ციფრებს ვხედავდით. მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა უკანასკნელი გამარჯვების ბურთი გაიტანეს, მასპინძლებს ქულის გადასარჩენად საკმაო დრო ჰქონდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ეს შესაძლებლობა ველარ გამოიყენეს.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**

**პირველი დღე:** სსრკ I — ბულგარეთი 9:6, აშშ — უნგრეთი 7:10, გფრ — საბერძნეთი 4:6.

**მეორე დღე.** საბერძნეთი — სსრკ I 4:10, ბულგარეთი — გფრ 8:14, უნგრეთი — სსრკ II 8:8.

**გუშინ** ტურნირის მესამე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: გფრ — სსრკ I — 7:8, საბერძნეთი — ბულგარეთი 6:8, აშშ — სსრკ II 6:8, უნგრეთი — საქართველო 7:2.

## საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

### დიდოსტატი რეტი

**„გთხოვთ მოგვითხროთ იმ დიდოსტატების შესახებ, რომლებიც საჭადრაკო კომპოზიციებს დიდ ყურადღებას უთმობდნენ და მათ გატაცებით ადგენდნენ" (ალექსანდრე და გიორგი ამირიძეები —თბილისი).**

**ჭადრაკის** ისტორია ბევრ ასეთ თვალსაჩინო პიროვნებას იცნობს. მაგრამ მათ შორის მეტად გამორჩეული ადგილი უკავია ცნობილ ჩეხ დიდოსტატს რიხარდ რეტის (1889-1929), რომელსაც 18 მაისს დაბადების საიუბილეო თარიღი — 100 წელი შეუსრულდა და რომლის საპატივცემულოდაც ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში დიდი საერთაშორისო კონკურსი მიმდინარეობს..

შევნიშნავთ, რომ მაღალი კლასის არც ერთ მოჭადრაკეს არ მიუღწევია საეტიუდო ხელოვნების ისეთი მწვერვალებისათვის, როგორც რეტის. ყველა მოჭადრაკეს უნახავს მისი სახელგანთქმული პოზიცია-აღმოჩენა (მფh8, პc6 — მფa6, პh5), სადაც თითქოს აშკარად განწირული თეთრები გასაოცარ ყაიმს აღწევენ. ამ ფანტასტიკურმა ეტიუდმა პოპულარობით სხვა ავტორების თითქმის ყველა ნაწარმოები დარჩდილა, მაგრამ მის დანარჩენ ნაწარმოებებსაც ღირსეული ადგილი უჭირავთ მაღალმხატვრული საეტიუდო ქმნილებების გალერეაში.

აღსანიშნავია, რომ დიდოსტატმა თავისი მოულოდნელი სიკვდილის წინ. რამდენიმე კვირით ადრე მოამზადა საკუთარი ეტიუდების კრებული, რომელიც 1931 წელს საჭადრაკო კომპოზიტორმა არტურ მანდლერმა გამოსცა და ამით თავის გარდაცვლილ მეგობარს სამარადისო ძეგლი დაუდგა. სწორედ ამ კრებულის წყალობით, რომელშიც დიდოსტატის ყველა 53 ეტიუდია მოთავსებული, შეიძლება შევიცნოთ რეტის საეტიუდო ესთეტიკა. მისი განსაზღვრით, ეტიუდი არის პარტიის დაბოლოებიდან აღებული პოზიცია, რომლის შინაარსი არაჩვეულებრივია, მიზნის მიღწევა კი მხოლოდ ერთადერთი გზით შეიძლება. ამასთან, ნაწარმოების უჩვეულო სიუჟეტის ქვეშ იგულისხმება: ამოხსნის სიძნელე, მიზნის მიღწევის სადა და ლამაზი გზა. შინაარსიანი, ორიგინალური თამაში, მანევრების სისტემატური ხასიათი, ჩანაფიქრის ექოში წარმოდგენა და სხვა.

**რ. რეტი, 1928**



მოგება

შავები ლაზიერის გაცოცხლებით იმუქრებიან. პაიკის შეჩერება კი ორი გზით შეიძლება. აქედან ერთი — მცდარია: 1. კc6+? მფd6 2. ეd4+ მფe5 3. ეe4+ მფd6! 4. ე:e3 e1ლ! 5. ე:e1 პატი. სწორია მეორე: 1კf5+! მფd6 2. ეd4+ მფe7 3.ეe4+ მფd8! 4. კd7!! (თუ 4. ე:e3? e1ლ 5. ე:e1 და მეორე პარტია) e1ლ 5. კb5! და 6. ეe8×.

**რ. რეტი, 1929**



მოგება

ძალთა იგივე თანაფარდობა, იგივე შავი გამსვლელი პაიკი, მაგრამ წინა ეტიუდთან მსგავსება მხოლოდ ამ ფორმალური ნიშნებით მთავრდება, მათი სიუჟეტები კი განსხვავებულია. 1. ed3+ მფe1 2. ეf3 მფd1 3. კg4 e1ლ (3 ...მფd2 4. ეf2 მოგებით) 4. ეd3×, ან 2. ...მფd2 3. კf1! e1ლ (3, ...ef 4. ე:f1 მფe3 5. მფc2 f3 6. ეe1+!) 4. ეd3×. „ბრწყინვალე პატარა ქმნილება" ასე შეამკო ა. მანდლერმა ეს ეტიუდი რეტის კრებულის კომენტარებში.

**რ. რეტი, 1928**



მოგება

ამოხსენით ეს ეტიუდი ძვირფასო მეგობრებო და გამოგვიგზავნეთ თქვენი პასუხები!

### როგორც ამბობენ...

რ. რეტი, რომელიც ჭადრაკით ირჩენდა თავს, ცხოვრებაში საკმაოდ არაპრაქტიკული ადამიანი იყო. ამიტომ ერთ-ერთ მსხვილ საერთაშორისო ტურნირზე მას სამეურვეო მიზნებით მეგობარი ახლდა. უკანასკნელ ტურში დიდოსტატი სუსტ მეტოქეს ხვდებოდა. მოგების ან ყაიმის შემთხვევაშიც კი საპრიზო ადგილი და მნიშვნელოვანი ფულადი პრემია განაღდებული ჰქონდა.

თავდაპირველად პარტიაში ყველაფერი კარგად წარიმართა: რეტი შემართებით და გონებამახვილურად თამაშობდა, პოზიციური უპირატესობაც მიიღო. მისი მეგობარი აღტაცებით ადევნებდა თვალს თამაშს. მაგრამ უცებ შენიშნა, რომ რეტი დიდხანს ჩაფიქრდა იქ, სადაც ფიქრი თითქმის სულ არ იყო საჭირო. შემდეგ კი წამოდგა და... გაქრა. მას შემდეგ, რაც კარგა ხანი გავიდა და რეტი არ დაბრუნდა დარბაზში, ხოლო მისმა მეტოქემ საპასუხო სვლა გააკეთა, მეგობარმა დიდოსტატს ძებნა დაუწყო. მხოლოდ დიდი გარჯის შედეგად იპოვეს გაქცეული. იგი ჯიბის ჭადრაკით ხელში პარკში იჯდა. მეგობრის დანახვაზე მან აღტაცებით შესძახა:

— როგორც იქნა მივხვდი, თუ როგორ უნდა შეიქმნას ეტიუდი, რომელზედაც ბევრი ვიწვალე!

მეგობარს დიდი ხვეწნა-მუდარა და მჭევრმეტყველება დასჭირდა რათა რეტი ძალზე მნიშვნელოვანი პარტიის დამთავრებაზე დაეყოლიებინა. როგორც იქნა, გაჭირვეულებული, მაგრამ ამავე დროს ბედნიერი რეტი საჭადრაკო მაგიდას მიუჯდა და მისთვის უკვე უინტერესო პარტია გააგრძელა. მეგობრის მეურვეობა ამაო გამოდგა, ვინაიდან დიდოსტატმა რამდენიმე სუსტი სვლის შემდეგ პარტია მალე წააგო, შვებით ამოისუნთქა და თავის ეტიუდს დაუბრუნდა.

ამ მარცხმა რეტის საპრიზო ადგილი და მეტად საჭირო 500 მარკა დააკარგვინა. ხოლო იმ ორიგინალური ეტიუდის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთმა მას საჰონორარო თანხა — 10 მარკა გადაუხადა!

ერთხელ რეტის ჰკითხეს:

— რა განსხვავებაა ძლიერსა და სუსტ მოთამაშეს შორის?

— იქ, სადაც სუსტი მოჭადრაკისათვის ყველაფერი ნათელია, იქ ძლიერისათვის ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული, — უპასუხა ღრმააზროვნად დიდოსტატმა.

### ამოხსნა

„ლელოს" 19 მარტის ნომერში დაბეჭდილი ვ. პაულის ხუთსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ეb1! მფd8 2. d4 მფc7 3. მფe7 მფc6 4. მფd8, ან 1. ...მფf8 2. ეb7 მფg8 3. მფf6. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: ზ. კობახიძე (ნიკორწმინდა, ამბროლაურის რ.), მ. ყაულაშვილი (რუსთავი), თ. ნავროზაშვილი (ლამისყანა, კასპის რ.), მ. და ა. ჩაფიჩაძეები (თერჯოლა), ა. მიშველაძე, ნ. ბესალაშვილი, ა. ღირსიაშვილი, რ. და კ. ხარატები, ზ. მემანიშვილი, ჯ. არაბიძე, ბ. მიქაბერიძე. (ყველა — თბილისი).

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**


## განცხადებები — განცხადებები — განცხადებები — განცხადებები — განცხადებები



**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი**

იუწყება, რომ 1989 წლის 15 ივნისიდან იწყება მეცადინეობა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლა.

მსურველებმა 14 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ სათანადო განცხადება.

სწავლება ქართულ და რუსულ ენებზეა.

პროგრამა:

მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ბიოლოგია; ცურვა.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე — 10 საათიდან. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი, 49-ა, ტელეფონი: 23-32-69.

**31 მაისს თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის სხდომათა დარბაზში გაიმართება ჩვენს რესპუბლიკაში ნიჩბოსნობაში მომუშავე სპეციალისტთა აქტივის კრება. დღის წესრიგშია საქართველოში ნიჩბოსნობის სახეობათა სადღეისო მდგომარეობისა და მათი შემდგომი განვითარების საკითხები.**

აქტივის კრებაზე მოწვეულნი არიან სპორტული ორგანიზაციებისა და უწყებების სპორტსკოლების დირექტორები, მწვრთნელები, მეთოდისტები, ინსტრუქტორები და ბაზების დირექტორები.

კრება დაიწყება 11 საათზე.

**საქართველოს სპორტსახკომის საწყლოსნო სახეობების განყოფილება.**

**ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია**

**გეოფიზიკის ინსტიტუტის (რუხაძის ქ. №1) სააქტო დარბაზში 28 მაისს ჩატარდება ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის თბილისის ორგანიზაციის დამფუძნებელი საერთო კრება, ხოლო 29 მაისს ასოციაციის წარმომადგენელთა შეკრება.**

დელეგატების რეგისტრაცია 28 და 29 მაისს, 18 საათიდან.

დელეგატებს ვთხოვთ იქონიონ პასპორტი და 8 აპრილს გაცემული მანდატი.

**კვირას, 28 მაისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე**

**გაიმართება დოლი ახალთექური და წმინდასისხლიანი ინგლისური ჯიშის ცხენების მონაწილეობით.**

გათამაშდება ტრადიციული პრიზები.

გაიმართება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის" ურიგოდ შეძენაზე. იმუშავებს ტოტალიზატორი.

**იპოდრომის დირექცია.**



**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, ხამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375